საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული „საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა“ და „ტუბერკულოზის ყველა ფორმის, მათ შორის რეზისტენტული ტუბერკულოზის ხარისხიანი დიაგნოსტირებისა და მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ პროგრამების ფარგლებში მონაცემთა მართვის საინფორმაციო სისტემების შესყიდვა

(CPV კოდი 30200000)

(გრანტი №GEO-T-H-NCDC)

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

ს ა ტ ე ნ დ ე რ ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

თბილისი 2016 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის 3-5

2. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ინფორმაცია 6

3. დამატებითი ინფორმაცია 7

4. ტექნიკური დავალება 8-12

5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი 13-15

6. დანართი N1 ფასების ცხრილი 16

7. დანართი N2 რეკვიზიტები 17

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

(წარმოადგენს საინფორმაციო ხასიათის მასალას და არ უნდა იყოს აღქმული, როგორც ტექნიკური დავალების ნაწილი)

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.

1.2. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოთ დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას.

1.3. ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%–ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5. ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების გაუმართაობის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ტენდერში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშეც, სააგენტოსთან შეთანხმებით, ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული პროცედურების გამოყენებით. სააგენტოს წინასწარი თანხმობის მიღება ხდება წერილობითი ფორმით ან სააგენტოს ელექტრონული ფოსტის info@procurement.gov.ge მეშვეობით. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და, შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.6. ამ ინსტრუქციის 1.5. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.7. ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, ხოლო ვადა განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „წინადადებების მიღება დაწყებულია“ სტატუსით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებიდან არანაკლებ - 120 კალენდარული დღით (გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში) და 160 კალენდარული დღით (ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში).

1.8. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს შეუძლია წარადგინოს წინადადება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ეტაპზე. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია აღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

1.9. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.10. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.11. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი.

1.12. სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.13. ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.14. ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასაწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.15. ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდები – ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი სამი რაუნდი (შემდგომში დამატებითი რაუნდები), რომელიც იწყება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ძირითადი დროის დასრულებისთანავე და გრძელდება ამავე პუნქტის „მ“

ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე. პირველი დამატებითი რაუნდი იწყება ხუთწუთიანი შესვენებით, ხოლო შემდგომი თითოეული დამატებითი რაუნდის დაწყებამდე მიმდინარეობს ორწუთიანი შესვენება. თითოეულ დამატებით რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც თითოეულ პრეტენდენტს განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს დამატებით რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.16. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ბოლომ დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17. მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18. იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუემნტაციის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის.

1.20. თუ პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით (ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა.

1.21. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაძლებლია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტს ასევე, უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს სისტემის მეშვეობით, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს წარმოეშობა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის.

1.22. იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული) შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ ვადებში.

1.23. პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:
ა) თუ მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;
ბ) თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;
გ) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;
დ) თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში;
ე) თუ ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ამ წესის მოთხოვნათა დაცვით;
ვ) თუ ის არის „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამარჯვებული პრეტენდენტი და არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას, უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან/და სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე;
ვ) თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

1.24. ამ ინსტრუქციის 1.23. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე

დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.25. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან მოითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. რისთვისაც განისაზღვრება ვადა 3 (სამი) სამუშაო დღით. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. ამასთან ერთად, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით, უარი თქვას ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნაზე.

1.26. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ და „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:
ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;
ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;
გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“, „ე“ - „ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

1.27. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.26. პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.28. ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა
ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი, თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრედენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.
ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;
გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, შესყიდვაში მონაწილე პირებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.29. **ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.**

1.30. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.31. **სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.**

1.32. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.33. **პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.**

<u>პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ინფორმაცია</u>

პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინოს:

ა) რეკვიზიტები, დანართი №2-ის მიხედვით;

ბ) ფასების ცხრილი, დანართი №1-ის მიხედვით;

გ) მოსაწოდებელი საქონლის დეტალური მახასიათებლები, სერტიფიკატი (ტექნიკური დავალების შესაბამისად);

დ) ინფორმაცია საქონლის შესახებ (მაგ.: კატალოგი, ბუკლეტი, პასპორტი, ამონაბეჭდი მწარმოებლის „WEB“ გვერდიდან /ელექტრონული ფაილი და სხვა). რომელიც უნდა იძლეოდეს შემოთავაზებული პროდუქციის შესაბამისობის დადგენის შესაძლებლობას - მოთხოვნილ ტექნიკურ პარამეტრებთან, მახასიათებლებთან და სპეციფიკაციასთან.

ე) ინფორმაცია საგარანტიო პიროებების და ვადის შესახებ №1-ის მიხედვით;

ვ) საქონლის მიწოდების პირობები და ვადები №1-ის მიხედვით.

შენიშვნა*:*

<u>„დ“ პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს უშუალოდ მწარმოებლის მიერ განსაზღვრულ მახასიათებლებს, რისთვისაც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაცია;</u>

<u>სატენდერო წინადადება და ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. უცხოენოვანი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში მას უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარმანი.</u>

დამატებითი ინფორმაცია

1. პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. სატენდერო წინადადების ღირებულება უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული საქონლისა და მოწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

3. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად ან/და ერთჯერადად, რომელთა მოწოდება და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული თანმდევი მომსახურება უნდა დასრულდეს არაუგვიანებს 2016 წლის 26 დეკემბრისა. მიწოდების ადგილი და პირობა: „INCOTERMS - 2010, DDP პირობით, ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. N9.

4. სატენდერო წინადადების ღირებულება (ერთეულის და საერთო ფასი) წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

5. ხელშეკრულება შესაძლებელია გაფორმდეს როგორც ეროვნულ ასევე უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი ან ევრო). ხელშეკრულების უცხოურ ვალუტაში გაფორმების შემთხვევაში, ეროვნულ ვალუტაში წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების უცხოურ ვალუტაში გადაყვანა მოხდება სატენდერო წინადების წარმოდგენის დასრულების დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

6. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ან/და ერთჯერადად, უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნეს წინასწარი გადახდის მექანიზმი, მაგრამ არაუმეტეს მთლიანი სახელშეკრუელბო ღირებულების 30%-ს ოდენობით, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია წინასწარი გადასახდელი თანხის სრულ ოდენობაზე.

7. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან მოითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. რისთვისაც განისისაზღვრება ვადა 3 (სამი) სამუშაო დღით. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით). ამასთან ერთად, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით, უარი თქვას ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნაზე.

8. მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს GFATM-ის „მომწოდებელთა ქცევის ნორმების სახელმძღვანელოს“ http://www.theglobalfund.org/en/documents/governance/ და იმოქმედოს მის შესაბამისად. მისი დაუცველობა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი;

9. მიმწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. აფიდავიტის პირობებზე დათანხმება ხდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონულად შესაბამის ღილაკზე დაჭერით.

10. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: დავით მღებრიშვილი, ხათუნა კაპანაძე სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერონული ცენტრი“ (მისამართზე: ქ. თბილისი, ასათიანის ქ. №9) მე-5 სართული, ტელეფონი: (995 32) 2398946 – შიდა (187).

ტექნიკური დავალება

1. მოთხოვნები კომუტატორის მიმართ (ორი ცალი)

1. კომუტაციის წარმადობა: არანაკლებ 92 გბ/წმ, 68 მილიონი პაკეტი წამში ან მეტი
2. მეხსიერება: 2 GB FLASH /4 GB DRAM ან მეტი
3. SVI(Switch Virtual Interface) ინტერფეისების რაოდენობა: არანაკლებ 1000
4. ფიზიკური ინტერფეისები: 24 (ოცდაოთხი) - 10/100/1000Tმბ/წმ პორტი და 4(ოთხი) SFP 1გბ/წმ პორტი ან მეტი (შესაბამისი მოდულის დამატების შემთხევევაში)
5. კომუტატორს უნდა გააჩნდეს სტეკირების ტექნოლოგიის მხარდაჭერა:
    a. სტეკირების წარმადობა: არანაკლებ 480 გბ/წმ
    b. სტეკში შესაძლებელი უნდა იყოს არანაკლებ 9(ცხრა) კომუტატორის გაერთიანება
    c. NSF(Nonstop Forwarding) და SSO(*Stateful Switchover*) ტექნოლოგიების მხარდაჭერა
6. კომუტატორს უნდა გააჩნდეს ე.წ „line rate" წარმადობა
7. თავსებადი პროტოკოლები და ტექნოლოგიები: RSTP, MSTP, LACP, 802.1Q, QOS, RADIUS, TACACS+, Static Routing, SSH, SNMP Version 1,2c,3; UDLD, DHCP Snooping, ARP პროტოკოლის დინამიური ინსპექტირების საშუალება, IGMP v1,2,3 Snooping, MLD v1 and v2 snooping, EIGRP stub, OSPFv3, ISISv4, PBR, OSPFv3, PBR IPv6, ვირტუალური მარშუტიზაციის ცხრილები, HSRP, IPv6, WCCP, HSRP for IPv6, VRRPv3, PIM-SM, PIM-DM, PIM sparse-dense mode, და source-specific multicast (SSM)
8. კომუტატორის აპარატურული დონე მზად უნდა იყოს MacSec შიფრაციის ტექნოლოგიის მხარდასაჭერად
9. კომუტატორს უნდა გააჩნდეს მომხმარებლების მოქნილი აუტენტიფიკაციის მექანიზემების მხარდაჭერა:
    a. 802.1X ტექნოლოგიის მხარდაჭერა
    b. ე.წ "MAB" ტექნოლოგიის მხარდაჭერა
    c. კომუტატორს უნდა გააჩნდეს ე.წ „Multidomain authentication" ის მხარდაჭერა, რათა განახორციელოს ერთ პორტზე მიერთებული სამუშაო კომპიუტერისა და ტელეფონის ინდივიდუალური აუტენტიფიკაცია და მოათავსოს ისინი სხვადასხვა ველანებში
    d. კომუტატორს უნდა გააჩნდეს „web authentication" ის მხარდაჭერა
10. კომუტატორს უნდა შეეძლოს ლოკალურად/დისტანციურად უზრუნველყოს რამდენიმე კომუტატორის ethernet პორტის/პორტების ტრაფიკის სარკისებული გადაგზავნა და მონიტორინგი
11. კომუტატორს საკუთრივ უნდა გააჩნდეს ქსელში სხვადასხვა ტიპის მოწყობილობის ამოცნობის და პორტების მიერთების დინამიური კონფიგურაციის ფუნქცია, იგი უნდა ახდენდეს სხვადასხვა ტიპის ტრაფიკის გარჩევას (როგორიცაა ვიდეო, აუდიო და სხვა) და შესაბამისი პრიორიტეტების განსაზღვრას
12. კომუტატორს უნდა გააჩნდეს სპეციალური მექანიზმები, რათა განახორციელოს ქსელში კავშირის ხარისხის შეფასება სხვადასხვა სახის აპლიკაციებისათვის.
13. კომუტატორს საკუთრივ უნდა გააჩნდეს ტრაფიკის ნაკადების აღრიცხვის ტექნოლოგია. კომუტატორს უნდა შეეძლოს ნაკადების აღრიცხვა ე.წ „Full" და "Sampled" რეჯიმში. ადმინისტრატორს მოთხოვნისამებრ უნდა შეეძლოს მოქნილი შაბლონების განსაზღვრა, რომლებშიც აღწერილი იქნება ნაკადების აღრიცხვის პოლიტიკები. შაბლონის ფარგლებში ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს მოქნილად განსაზღვროს ტრაფიკის ის პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც განხორციელდება ნაკადის დადგენა და შემდეგ აღრიცხვა:
    a. შაბლონის ფარგლებში შესაძლებელი უნდა იყოს, მოთხოვნისამებრ იმ თავსართების ველებისა და პარამეტრების აღწერა, რისი მიხედვითაც განხორციელდება ტრაფიკის ნაკადის დადგენა. შესაძლებელი უნდა იყოს ისეთი ველებისა და პარამეტრების აღწერა როგორებიცაა:

i. მეორე დონის პარამეტრები: dot1q, ethertype, source mac, destination mac, vlan
ii. IPv4 მესამე დონის პარამეტრები: destination ip, source ip, protocol, tos, ttl, version
iii. IPv6 მესამე დონის პარამეტრები: destination ipv6, source ipv6, protocol
iv. მეოთხე დონის პარამეტრები: destination-port, source-port, icmp, igmp
v. დამატებითი პარამეტრები: flow direction, interface input, interface output

b. შაბლონის ფარგლებში, მოთხოვნისამებრ შესაძებელი უნდა იყოს, იმ პარამეტრების აღწერა, რისი აღრიცხვის განხორციელებაც არის საჭირო, დადგენილი ნაკადიდან:
   i. გადაცემული პაკეტების რაოდნობა, გადაცემული ინფორმაციის მოცულობა
   ii. input და output ინტერფეისები
   iii. ე.წ „timestamp absolute“ ის მითითების შესაძლებლობა, რათა აღირიცხოს ნაკადის პირველი ან/და ბოლო პაკეტი
   iv. მეოთხე დონის კონტროლ პარამეტრების აღრიცხვის შესაძლებლობა: ack, cwr, ece, fin, psh, rst, syn, urg
c. შესაძლებელი უნდა იყოს ლოკალური უსადენო კონტროლერზე გამართული SSID ის მიხედვით ნაკადების აღრიცხვა
d. შესაძლებელი უნდა იყოს ნაკადების აღრიცხვა შემდეგი სახის ინტერფეისებიდან: Layer 2, VLAN, WLAN, Layer 3 interface
e. ინტერფეისზე ე.წ „ingress“ და „egress“ აღრიცხვის მხარდაჭერა
f. არანაკლებ 24,000 ნაკადის აღრიცხვის საშუალება
g. აღრიცხული ტრაფიკის ნაკადების სტატისტიკის ინფორმაციის გადაგზავნა შესაძლებელი უნდა იყოს ქსელის მონიტორინგის სერვერზე

14. საკუთრივ კომუტატორზე, მოთხოვნისამებრ ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს ე.წ ”სკრიპტების” პოლიტიკების დაწერა, აღნიშნული ფუნქციონალით შესაძლებელი უნდა იყოს გარკვეული ამოცანების ავტომატიზება კომუტატორში. აღნიშნულ პოლიტიკებს უნდა შეეძლოს კომუტატორში გარკვეული ინფორმაციის მონიტორინგი და მათ საფუძველზე წინასწარ განსაზღვრული ქმედებების შესრულება კომუტატორში:
   a. აღნიშნულ პოლიტიკებს უნდა შეეძლოს შემდეგი სახის ინფორმაციის მონიტორინგი და წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკის მიხედვით კომუტატორში სკრიპტის აქტივაცია:
      i. Counter - წინასწარ განსაწღვრული მთვლელის მონიტორინგი
      ii. Interface Counter - ინტერფეისზე სხვადასხვა სტატისტიკებისთვის განსაზღვრული მთვლელების მონიტორინგი
      iii. Timer - დროის პოლიტიკის მონიტორინგი
      iv. Watchdog System Monitor - CPU ან მეხსიერების მონიტორინგი
      v. CLI - ტექსტური ინტერფეისით შეყვენილი ბრძანებების მონიტორინგი
      vi. None - შესაძლებელი უნდა იყოს სკრიპტის პოლიტიკის ხელით გაშვება
      vii. SNMP– SNMP Object და SNMP Trap ის მონიტორინგი
      viii. Routing – მარშუტიზაციის ცხრილის მონიტორინგი, მარშუტიზაციის ოქმის მონიტორინგი
   b. სკრიპტით შესაძლებელი უნდა იყოს შემდეგი ქმედებების განხორციელება:
      i. წინასწარ განსაზღვრული ბრძანებების გაშვება კომუტატორში
      ii. შეტყობინების გენერაცია SYSLOG და SNMP ოქმების საშუალებით

15. მომავალში შესაძლებელი უნდა იყოს კომუტატორის ფუნქციონალის გაზრდა, მხოლოდ პროგრამული ლიზენციის დამატებით. ლიცენზიის დამატების შემთხვევაში კომუტატორს უნდა შეეძლოს უსადესო ქსელის კონტროლერის მოვალეობის შეთავსება:

a. კონტროლერის ფარგლებში კომუტატორს უნდა შეეძლოს არანაკლებ 20 დაშვების წერტილის მართვა
b. უსადენო ქსელის კონტროლერს უნდა გააჩნდეს Wireless Intrusion Prevention System ტექნოლოგიის მხარდაჭერა
c. კონტროლერს უნდა გააჩნდეს სპეციალური მექანიზმის მხარდაჭრა,რათა უზრუნველყოს „IP multicast stream“ ის საიმედო გადაცემა უსადენო ქსელში
d. კონტროლერს უნდა გააჩნდეს შემდეგი სტანდარტების მხარდაჭერა: IEEE 802.11ac, IEEE802.11r
e. უსადენო ქსელი კონტროლერს უნდა გააჩნდეს Radio Resource Management ტექნოლოგიის მხარდაჭერა:
    i. RRM ტექნოლოგიის ფარგლებში, კონტროლერმა უნდა განახორციელოს შემდეგი პარამეტრების მონიტორინგი:
        1. Traffic load
        2. Interference
        3. Noise
        4. Coverage, RSSI და SNR მაჩვენებლები
    ii. RRM ტექნოლოგიის ფარგლებში, კონტროლერმა უნდა განახორციელოს:
        1. Radio resource monitoring
        2. Transmit power control
        3. Dynamic channel assignment
        4. Coverage hole detection and correction
        5. RF grouping
f. კონტროლერის ფარგლებში კომუტატორს უნდა შეეძლოს მოემსახუროს არანაკლებ 1000 მომხმარებელს
g. უსადენო ქსელის კონტროლერის წარმადობა: არანაკლებ 20 გბ/წმ
h. კომუტატორს უნდა გააჩნდეს ერთიანი უნიფიცირებული ე.წ ტექსტური ინტერფეისი, სადენიანი და უსადენო ქსელზე კონფიგურაციის განსახორციელებლად
i. კომუტატორს უნდა გააჩნდეს ერთიანი უნიფიცირებული QoS პოლიტიკების განხორციელების საშუალება სადენიანი და უსადენო ქსელისთვის:

    i. კომუტატორს უნდა გააჩნდეს, მარტივი და მოდულარული QoS პოლიტიკების აღწერის საშუალება
    ii. კომუტატორს უნდა გააჩნდეს ე.წ HQoS ტექნოლოგიის მხარდაჭერა, სადენიანი და უსადენო ქსელისთვის
    iii. კომუტატორს უნდა გააჩნდეს შემდეგი სახის QoS ტექნოლოგიების მხარდაჭერა, სადენიანი და უსადენო ქსელისთვის:
        1. Queuing
        2. Policing
        3. Shaping
    iv. უსადენო ქსელის QoS პოლიტიკების განხორციელაბა შესაძლებელი უნდა იყოს:
        1. Radio
        2. SSID (per-radio, per-AP, და per-SSID)

16. არაუმეტეს: 1 RU ზომის
17. კვება: AC

18. კომუტატორის უნდა გააჩნდეს სათადარიგო კვების ბლოკი
19. კომუტატორს უნდა გააჩნდეს კვების სტეკირების ტექნოლოგიის მხარდაჭერა. სტეკში გაერთიანებულ წევრებს საჭიროებისამებრ უნდა შეეძლოთ კვების განაწილება
20. კომუტატორზე უნდა ვრცელდებოდეს მწარმოებლის მინიმუმ ერთ წლიანი საგარანტიო მომსახურეობა, ტექნიკური მხარდაჭერა და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. მოწყობილობის დაზიანების მიზეზის დადგენის შემდეგ, მოწყობილობა უნდა შეკეთდეს ან შეცვალოს შემდეგ სამუშაო დღეს.
21. **მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მწარმოებლის ავტორიზაციის წერილი (Manufacturers Authorization Form),**

2. მოთხოვნები სერვერის მიმართ (ორი ცალი)

სერვერს უნდა გააჩნდეს ტექნიკური მახასიათებლები:

1. სერვერს უნდა გააჩნდეს რეკში ჩასამონტაჟებელი ფორმ ფაქტორი, ზომა არაუმეტეს ერთი იუნიტისა, უნდა მოყვებოდეს აქსესუარების სრული ქომპლექტი.
2. სერვერის პროცესორი: მინიმუმ 2 პროცესორი (2 x Intel Xeon E5-2650v4 (2.2GHz/12-core/30MB/105W)
3. მეხსიერება: მინიმუმ 192 GB with Dual Rank x4 DDR4-2400T მეხსიერების მოდული
4. სერვერს უნდა გააჩნდეს შიდა მონაცემთა შენახვის სისტემა ვირტუალიზაციის შესაძლებლობლობისთვის: მინიმუმ 8GB Dual SD media kit.
5. ქსელური ადაპტორი: მინიმუმ 4 x 1Gb/s
6. ოპტიკური ადაპტორი: მინიმუმ 2 x 16Gb/c (უნდა მოყვებოდეს ყველა საჭირო კაბელი და შემაერთებელი)
7. კვების წყარო და გაგრილება: ცხელი შეცვლის და მაღალი თადარიგის (redundant) მქონე კომპონენტები, 2 კვების ბლოკით თითო არანაკლებ 800 W.
8. მართვა: სერვერს უნდა გააჩნდეს თხევადკრიტალური ან ლედ ინდიკატორები თვითდიაგნოსტიკისათვის და ეზერნეტ პორტი მოშორებული მართვისთვის.
9. გარანტია: მინიმუმ 3 წლიანი 24/7 ზე პროაქტიური მხარდაჭერით
10. **მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მწარმოებლის ავტორიზაციის წერილი (Manufacturers Authorization Form).**

3 მოთხოვნები ვირტუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის მიმართ (ერთი ცალი)

1 სერვერს უნდა მოყვებოდეს ვირტუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა VMw vSph EssPlus License for 6 CPU ან ანალოგიური

2 ვირტუალიზაციის პროგრამულ უზრუნველყოფას უნდა გააჩნდეს მინიმუმ 3 წლიანი 24/7 ზე პროაქტიური მხარდაჭერა

4. მოთხოვნები მონაცემთა შენახვის სისტემის მიმართ (ერთი ცალი)

1. მონაცემთა შენახვის სისტემის კონტროლერი: სისემას უნდა გააჩნდეს მინიმუმ 2 აქტივ/აქტივ კონტროლერის ნოდა.
2. კონტროლერების წყვილის კეშ მეხსიერება: მინიმუმ 12 GB კეშ მეხსიერება (6 GB კონტროლერზე)
3. სერვერზე მისაერთებელი პორტები: თითო კონტროლერის ნოდას უნდა გააჩნდეს მინიმუნ 4 x 16 Gb/s (8 პორტი კონტროლერის წყვილზე) ოპტიკური ჰოსტ პორტები.
4. მყარი დისკების კალათაზე მისაერთებელი პორტები: თითო კონტროლერის ნოდას უნდა გააჩნდეს მინიმუნ 1 x 12/6Gb/s SAS პორტი, დამატებითი დისკების კალათაზე მისაერთებლად.

5. მონაცემთა შენახვის სისტემის დისკების კალათის და მყარი დისკების მხარდაჭერა: სისტემას და დისკების კალათას უნდა გააჩნდეს როგორს მცირე ფორმ-ფაქტორის დისკების მხარდაჭერა (SFF) ასევე დიდი ფორმ-ფაქტორის (LFF) დისკების მხარდაჭერა.
6. მონაცემთა შენახვის სისტემას უნდა გააჩნდეს არანაკლებ 96 დიდი ფორმ-ფაქტორის (LFF) დისკების მხარდაჭერა ან არანაკლებ 199 მცირე ფორმ-ფაქტორის (SFF) დისკების მხარდაჭერა.
7. მონაცემთა შენახვის სისტემას უნდა გააჩნდეს მინიმუმ რეიდ 10, 1, 5, 6 ს მხარდაჭერა
8. დისკების ოდენობა: არანაკლებ . 4 x 400GB 12G SAS SSD და არანაკლებ 7 x 600GB 12G SAS 10K HDD
9. მონაცემთა შენახვის სისტემას მინიმუმ უნდა გააჩნდეს მონაცემთა რეპლიკაციის, ავტომატური ტაირინგის, SSD კეშის წაკითხვის მხარდაჭერა.
10. საოპერაციო სისტემების მხარდაჭერა: მონაცემთა შენახვის სისტემას უნდა გააჩნდეს არანაკლებ შემდეგი საოპერაციო სისტემების მხარდაჭერა: Microsoft Windows, Windows Server 2008 Hyper-V, Red Hat Enterprise Linux, SUSE Linux Enterprise, VMware ESX and ESXi, HP-UX.
11. მონაცემთა შენახვის სისტემის მართვა: შემნახველ სისტემას უნდა გააჩნდეს თხევადკრიტალური ან ლედ ინდიკატორები თვითდიაგნოსტიკისათვის და ეზერნეტ პორტი მოშორებული მართვისთვის.
12. კვების წყარო და გაგრილება: მაღალი თადარიგის (redundant) მქონე კომპონენტები.
13. გარანტია: მინიმუმ 3 წლიანი 24/7 ზე პროაქტიური მხარდაჭერით
14. **მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მწარმოებლის ავტორიზაციის წერილი (Manufacturers Authorization Form).**

5. მოთხოვნები ჰოსტ ბას ადაპტერისადმი არსებული სერვერისთვის (ერთი ცალი)

1. ჰოსტ ბას ადაპტერს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 8 Gb/s გამტარობა, PCI სლოტი, 2 პორტიანი სერვერ HP DL 380 ს თავსებადი.
2. გარანტია: მინიმუმ 1 წელი
3. **მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მწარმოებლის ავტორიზაციის წერილი (Manufacturers Authorization Form).**

ზოგადი მოთხოვნები მომწოდებლის და ტექნიკის მიმართ

1. ტექნიკის მიწოდების პირობები - ფიზიკური მონტაჟი, ინსტალაცია და კონფიგურირება.
2. მინიმუმ 3 დღიანი ტრენინიგი მოწოდებული აპარატურის მომსახურებასთან დაკავშირებით.
3. შემოთავაზებულ ტექნიკას უნდა გააჩნდეს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სერთიფიკატი.
4. პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ავტორიზებული სერვისცენტრი საქართველოში.
5. შემოთავაზებული ტექნიკა უნდა იყოს მსოფლიო ბრენდის, რომელიც მსოფლიო ბაზარზე არანაკლებ 10 წელი იყიდება.

<u>შესყიდვის ობიექტის საორიენტაციო ღირებულებაა 67,903.10 (სამოცდაშვიდი ათას ცხრაასსამი დოლარი და 10 ცენტი) აშშ დოლარის აქვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.</u>

სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. უცხოენოვან დოკუმენტაციას უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმნი.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება № GF-T-H/SET/G-

ქ. თბილისი „____“„_____“ 2016 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები
1.1. ერთი მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერონული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი”) ---------- სახით, და მეორე მხრივ, ----------, (შემდგომში „მომწოდებელი“) ---------- სახით.

2. ხელშეკრულების საგანი
2.1. შემსყიდველმა განახორციელა ელექტრონული ტენდერი (ტენდერის ნომერი -------) ---------- (CPV კოდი 30200000), სახელმწიფო შესყიდვაზე, რაზედაც მომწოდებელმა აიღო ვალდებულება მოაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული საქონელი ---------- ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:
3.1 მონაცემთა მართვის საინფორმაციო სისტემები - ----------

4. საქონლის ღირებულება
4.1 საქონლის ერთეულის (---------) ღირებულებაა ---------- ლარი.
4.2 საქონლის საერთო ღირებულებაა ---------- ლარი;

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განსახორციელებლად განსაზღვრული კოორდინატორი ან სხვა საამისოდ უფლებამოსილი პირი.
5.2. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარგდენა, ფინანსური ხარჯის და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მომწოდებელს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან/და ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი (უფლებამოსილი) პირი.
5.2. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარგდენა, ფინანსური ხარჯის და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მომწოდებელს.

6. შეფუთვა
6.1. მოსაწოდებელი საქონელი შეფუთული უნდა იყოს შესაბამისი ნორმების დაცვით.
6.2. მომწოდებელი პასუხისმგებელია შემსყიდველის წინაშე საქონლის ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში, რომელიც გამოწვეული იქნება არასწორი შეფუთვით.

7. საქონლის მოწოდების ვადა და ადგილი
7.1. საქონლის მოწოდება განხორციელდება ეტაპობრივად ან/და ერჯერადად, შემდეგ მისამართზე: თბილისი, მ. ასათიანის ქ. N9, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერონული ცენტრი“.
7.2. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მოწოდება მიწოდებისათვის შესაბამისი ნორმების დაცვით.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
8.1. მიღება-ჩაბარების წინ განხორციელდება გაწეული მომსახურების ინსპექტირება, რომელსაც განახორციელებს ამ ხელშეკრულების 5.1. პუნქტით განსაღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.
8.2. მიღება-ჩაბარების აქტებს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მომწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.
8.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა, უნდა წარმოადგინოს – მიმღები ორგანიზაციების უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.
8.4. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 8.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა საქონლის სრული ან/და ეტაპობრივი მიწოდების დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მომწოდებელს.

9. საქონლის საგარანტიო პირობები, წუნდებული საქონლის შეცვლა.
9.1. საქონლის საგარანტიო ვადა მოწოდების მომენტისათვის უნდა იყოს არანაკლებ --- წლისა.
9.2. მიმწოდებელი ვალდებულია მოწოდებული საქონლის წუნდების შესახებ დასაბუთებული შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 30 დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე. აღნიშნული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც საქონლის დეფექტურობა გამოწვეულია შემსყიდველის ან/და მიმღების შენახვის პირობების დარღვევით ან არამიზნობრივი (არადანიშნულებით) გამოყენებით.

10. ანგარიშსწორება
10.1. ,,მიმწოდებელთან” ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. საქონლის მოწოდების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღისა.
10.2. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: სასაქონლო ზედნადები და ანგარიშ-ფაქტურები საქონლის აღწერით, საქონლის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო რაოდენობის მითითებით, მიღება-ჩაბარების აქტი. წარმოდგენილ სასაქონლო ზედნადებში ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქურაში ხელშეკრულების ნომრის მითითება სავალდებულოა.

11. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.
11.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქონლის ხარისხის და/ან მოწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
11.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს:
ა) მოწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მომწოდებლის საბანკო ანგარიშზე;
ბ) მოწოდებული საქონლის შენახვა შესაბამისი პირობების და ტემპერატურული რეჟიმის მკაცრი დაცვით.
11.4. მომწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;
11.5. მომწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის საქონლის მოწოდება შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოსთხოვოს შემსყიდველს სხვა არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა;
გ) გაეცნოს და დაიცვას გლობალური ფონდის (დონორის მიერ პერიოდულად განახლებადი და გლობალური ფონდის ვებ. გვერდზე http://www.theglobalfund.org/en/documents/governance/ განთავსებული) „მიმწოდებლების ქცევის კოდექსი“ და ასევე უზრუნველყოს მისი გაცნობა ქვეკონტრაქტორებისთვის (არსებობის შემთხვევაში).

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
12.1. საქონლის მოწოდებისთვის განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
12.2. ხელშეკრულების მე-10 პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
12.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.4. იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებას მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს ოდენობით.
12.5. საჯარიმო თანხის ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს ოდენობით დაფიქსირების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
12.6. მიმწოდებელი ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ფასები
13.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
13.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. ფორს-მაჟორული გარემოებები
14.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
14.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
გ) ეპიდემიები;
დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
14.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
14.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
14.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
14.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
14.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
14.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
15.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
15.2. შემსყიდველმა და მომწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
15.2 თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს

შესაბამის სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა
16.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების პირობების შესრულებობის ან მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
16.2. ხელშეკრულების 16.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით, არაუგვიანეს 15 სამუშაო დღით ადრე.
16.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.
16.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

17. სხვა პირობები
17.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
17.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
17.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
17.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
17.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
17.6. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.
17.7. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მომწოდებელთან“, ორი - „შემსყიდველთან“.
17.8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

18. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ “ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კოტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი”	
ქ.თბილისი, ასათიანის ქ. № 9	
ს/კ 211324351	
სახელმწიფო ხაზინა	
ბ/კ TRESGE22	
ა/ა GE24NB0330100200165022	
_____	

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

№	საქონლის დასახელება	საქონლის დეტალური მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი	კატალოგის ნომერი / მოდელი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	საქონლის მიწოდების ვადები და პირობები	საგარანტიო ვადა და პირობები
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

სატენდერო წინადადების ფასი _____

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი _____

_____

(მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)

<u>შენიშვნა:</u> სატენდერო წინადადების ფასი უნდა შეიცავდეს შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს.

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

ხელის მოწერა და ბეჭედი _____

_____

(მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)